



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 4
28/01/2021

4-06-4-202101281328



საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტის მიღების თაობაზე საქართველოს მთავრობის ნებართვის მისაღებად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოში იაპონიის საელჩო თანახმაა ცაგერის მუნიციპალიტეტს (გრანტის „მიმღები“) გამოეყოს გრანტი 70500 (სამოცდაათათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით ან მისი ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში პროექტის „ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის მძიმე ტექნიკის შექმნა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისათვის“ ფარგლებში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-100 მუხლის მე-5, მე-7 პუნქტების და ცაგერის მუნიციპალიტეტის მომართვის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად პროექტის „ცაგერის მუნიციპალიტეტისათვის მძიმე ტექნიკის შექმნა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისათვის“ გამოსაყოფი გრანტის 70500 (სამოცდაათათას ხუთასი) აშშ დოლარის მიღებისათვის შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას.
2. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, საგრანტო ხელშეკრულება გააფორმოს საქართველოში იაპონიის საელჩოსთან.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარმოდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში /მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69/
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო